არქი ახმეტელი

ოფისები

ელექტროტექნიკური ნაწილის პროექტი

თბილისი 2025

№	საპროექტო დოკუმანტაციის ჩამონათვალი	დღე		14
		თვე		11
		წელი		25
		მ	ფ	A
MG-2428-EL-000	ფაილების ჩამონათვალი	X:XX	A4	X
დოკუმენტაცია				
MG-2428-EL-001	განმარტებითი ბარათი	X:XX	A4	X
სტრუქტურები				
MG-2428-EL-010	ძალოვანი ნაწილის სტრუქტურული გეგმა	X:XX	A0	X
MG-2428-EL-015	სახანძრო მაუწყებლობისა და CO სისტემების სტრუქტურული გეგმა	X:XX	A1	X
MG-2428-EL-017	საევაკუაციო მაუწყებლობის სისტემის სტრუქტურული გეგმა	X:XX	A1	X
ფარები და კომუნიკაციები (გეგმები)				
MG-2428-EL-100	ფარები და კომუნიკაციები	1:100	A1	X
განათებისა და საევაკუაციო განათების ქსელი (გეგმები)				
MG-2428-EL-300	განათებისა და საევაკუაციო განათების ქსელი	1:100	A1	X
მექანიკური ნაწილი (გეგმები)				
MG-2428-EL-400	მექანიკური ნაწილი	1:100	A1	-
სახანძრო მაუწყებლობის სისტემა (გეგმები)				
MG-2428-EL-500	სახანძრო მაუწყებლობისა და CO სისტემები	1:100	A1	X
საევაკუაციო მაუწყებლობის სისტემა (გეგმები)				
MG-2428-EL-700	საევაკუაციო მაუწყებლობის სისტემა	1:100	A1	X

ქ. თბილისი, ახმეტელი ოფისები

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, ახმეტელი ოფისები

მისამართი: თბილისი, შეშელიძისა და გობრონიძის ქუჩების კვეთა.

დამკვეთი: შპს „არქი“

-

თბილისი. საქართველო

შემსრულებელი: შპს „მონტაჟ ჯორჯია“

გ. პაპაშვილის 19

თბილისი. საქართველო

ელ. ძალოვანი ნაწილისა და სუსტი დენების განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაცია

რევ.	თარიღი	სტატუსი	ფაილის სახელი	კომენტარი
A	14.11.2025		MG-2428-EL-001	

სარჩევი

1 შესავალი 4
1.1 ზოგადი ინფორმაცია 4
1.2 ობიექტის აღწერილობა 4
1.3 ქსელის პარამეტრები 4
1.4 შემომავალი კვება 5
2 მთავარი გამანაწილებელი ფარი/დაბალი ძაბვის პანელები 6
2.1 სამუშაოთა მოცულობა 6
2.2 ხარისხის გარანტია 6
2.3 სისტემის აღწერილობა 6
2.4 მრიცხველების გამანაწილებელი ფარები 11
3 კაბელსატარები და საკაბელო სისტემები 12
3.1 სამუშაოთა მოცულობა 12
3.2 ხარისხის გარანტია 12
3.3 სისტემის აღწერილობა 12
3.4 პროდუქცია 13
3.5 შესრულება 13
4 მავთულები და კაბელები 15
4.1 სამუშაოთა მოცულობა 15
4.2 ხარისხის გარანტია 15
4.3 აღწერილობა 15
4.4 კაბელების დაცვა 15
5 ფურნიტურა 16
5.1 როზეტები: 16
5.2 ჩამრთველები, გადამრთველები, რეგულატორები 16
5.3 ქუროები 16
5.4 სტანდარტული აღნიშვნა 16
6 დამიწება მეხამრიდის სისტემა 17
6.1 სამუშაოთა მოცულობა. 17
6.2 ხარისხის გარანტია 17
6.3 სამუშაოს აღწერილობა 17
7 განათების სისტემა 19

7.2 სანათები....19
8 სუსტი დენები....21
8.1 CCTV....21
8.2 სახანძრო მაუწყებლობა....21
8.3 საევაკუაციო მაუწყებლობა....22
8.4 ინტერნეტი....23

1 შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია

1.1.1 სპეციფიკაციის ნაწილი მოიცავს მასალა დანადგარების აღწერილობას. ერთეულები, ზომა/წონები და რაოდენობები იხილე მასალათა რაოდენობაში.

1.2 ობიექტის აღწერილობა

1.2.1 საპროექტო შენობა მდებარეობს ქ.თბილისში.

1.2.2 საპროექტო შენობა ფუნქციონალურად წარმოადგენს საცხოვრებელ კორპუსს.

1.2.3 შენობა შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან:

- ავტოსადგომი.
- ოფისები 238.

1.3 ქსელის პარამეტრები

1.3.1 კორპუსის ელექტრომომხმარებლები დაყოფილია კატეგორიებად.

- I კატეგორია.
  სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საერთო მოხმარების ფართები
- III კატეგორიას.
  საცხოვრებელი ბინები.

1.3.2 ქსელის პარამეტრები

დადგმული სიმძლავრე - 1570,75 კვტ.

მოთხოვნილი სიმძლავრე - 1413,67 კვტ.

გენერატორი - 370 კვა

ძაბვის პარამეტრები

- ძაბვა 400/230ვ.
- სიხშირე 50ჰც.
- მოსალოდნელი მაქსიმალური მოკლე ჩართვის დენი 36კა.
- მაქსიმალური დასაშვები ძაბვის ვარდნა 5%.

ქსელი TN-C-S.

1.4 შემომავალი კვება

1.4.1 ობიექტი არის ს/ს „თელასი“-ს აბონენტი. მოცემული პროექტი არ მოიცავს შემომავალი ძაბვის არანაირ დოკუმენტაციას რადგან ეს არის ს/ს „თელასი“-ს საპროექტო ნაწილი.

2 მთავარი გამანაწილებელი ფარი/დაბალი ძაბვის პანელები

2.1 სამუშაოთა მოცულობა

2.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს, მთავარი გამანაწილებელი და სხვა შუალებური ფარების, დაპროექტებას, დამზადებას, ტესტირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, მარკირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

2.1.2 ფარები დაპროექტებულია Schneider-electric-ის გამთიშველებისა და კომპონენტების სპეციფიკაციებით. გამოყენებულია Schneider-electric-ის კასკადური შეერთებისა და სელექტივობის ცხრილები. კონტრაქტორი არ არის ვალდებული ამ მწარმოებლის გამოყენებაზე. სხვა მწარმოებლის გამოყენების შემთხვევაში კონტრაქტორმა თვითონ უნდა გათვალოს და წარმოადგინოს (არჩელი მწარმოებლის სპეციფიკაციის შესაბამისად) სელექტივობისა და კასკადური შეერთების ცხრილები.

2.2 ხარისხის გარანტია

2.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

2.3 სისტემის აღწერილობა

2.3.1 კონტრაქტორმა უნდა დააპროექტოს და დაამონტაჟოს მთავარი გამანაწილებელი და სხვა შუალებური ფარები ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. სპეციფიკაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო მკაცრ მოთხოვნებს.

2.3.2 ფარები უნდა აიწყოს მხოლოდ პირველადი მწარმოებლის მიერ დამტკიცებული კომპანიის მიერ.

2.3.3 პანელების ამწყობს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გამანაწილებელი მოწყობილობების აწყობის სფეროში.

2.3.4 ობიექტზე არსებული პირობები

2.3.4.1 მთავარი გამანაწილებელი ფარები უნდა მუშაობდეს, მინიმუმ, ქვემოთ მოცემულ გარემო პირობებში:

გარემო ტემპერატურა : 50°C

ფარდობითი ტენიანობა : 95% (50°C-ზე)

2.3.4.2 მთავარი გამანაწილებელი ფარი განთავსებულია შენობაში -2 სართულზე.

ფარი უნდა იყოს მეტალის, ქარხნული შესრულების.

მინიმუმ IP 30 შესრულებით.

2.3.5 მოთხოვნები

2.3.5.1 მთავარი გამანაწილებელი ფარები უნდა იყოს სტანდარტული, ბუნებრივი ჰაერით გაგრილებადი, სათანადოდ ტესტირებული და დამტკიცებული პროექტის, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის მაქსიმალურ უსაფრთხოებას, მაქსიმალურ საექსპლუატაციო საიმედოობას და არანაკლებ 20 წლიანი სასიცოცხლო ხანგრძლივობით. პროექტი და კონსტრუქცია უნდა იყოს მარტივი, კარგად დაგეგმილი და უნდა უზრუნველყოფდეს კომპონენტებთან და ნაწილებთან ადვილ მიდგომას.

2.3.5.2 მთავარი გამანაწილებელი ფარი უნდა იყოს ფიქსირებული ტიპის, მთავარი შემომავალი გამანაწილებელი მოწყობილობა და გამომავალი გამანაწილებელი მოწყობილობაც უნდა იყოს ფიქსირებული ტიპის.

2.3.5.3 მთავარი გამანაწილებელი ფარების ნომინალური მნიშვნელობების გათვლა უნდა მოხდეს ინტეგრირებული გამანაწილებელი მოწყობილობების ძაბვის, დენის, სიხშირის და სიმეტრიული ამორთვის უნარის საფუძველზე.

2.3.5.4 ელექტრული სისტემა ყველა გამანაწილებელი ფარისათვის უნდა იყოს: 400V, 50Hz 3 ფაზიანი და ნეიტრალური, 4 ძარღვიანი, მყარად დამიწებული.

2.3.5.5 მთავარი გამანაწილებელი ფარების მოწყობილობებსა და კომპონენტებს უნდა შეეძლოთ, სრულ დატვირთვაზე, მუშაობა განუწყვეტლივ რეჟიმში. ასევე სისტემის გადახრაზე ნორმალური მნიშვნელობიდან:

- ძაბვა ± 10%
- სიხშირე ± 5%

2.3.5.6 ყველა კომპონენტი უნდა უძლებდეს დინამიურ, თერმულ და დიელექტრულ დაძაბულობას, რომელიც წარმოიქმნა მოკლე ჩართვის დენებისაგან პერსონალისათვის ზიანის მოტანის გარეშე.

2.3.6 კორპუსების დამზადება

2.3.6.1 ყველა გამანაწილებელი ფარის კორპუსი უნდა წარმოადგენდეს ბრენდირებულ კატალოგის პროდუქციას დამტკიცებული მწარმოებლისაგან. კორპუსები უნდა დამზადდეს ელექტრულად მოთუთიებული ფოლადის ფურცლებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სპეციფიკაციებს. მოთუთიება უნდა განხორციელდეს ფოლადის ფურცლებზე, რომლებიც ხელს შეუშლიან ჟანგის წარმოქმნას შენახვის და განკარგვის, ან დამუშავების დროს, გარდა ამისა, დაიცავენ მოპირკეთებულ პროდუქციას კოროზიისაგან. ფურცლებს უნდა დაედოს სუფთა

ზედაპირული მოპირკეთება, რომელიც კარგ გამოსახულებას მიანიჭებს კორპუსის შეღებილ კომპონენტებს.

2.3.6.2 ფოლადის ფურცლებმა, რომლებიც გამოიყენება კორპუსის დასამზადებლად, უნდა გაიაროს წინასწარი დამუშავების პროცესი ზედაპირული მოპირკეთებისათვის. აღნიშნული პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ პროცესებს:

- ცხიმისაგან გასუფთავება
- ზედაპირის გაწმენდა
- თუთიის ფოსფატიზება
- პასივირება
- დემატერიალიზებული წყლით გამორეცხვა
- შუალედური გამორეცხვა

2.3.7 კორპუსის კონსტრუქცია

2.3.7.1 მთავარი გამანაწილებელი ფარის კორპუსი უნდა წარმოადგენდეს დამტკიცებული მწარმოებლის ბრენდირებული კატალოგის პროდუქციას. ამწყობმა უნდა ააწყოს კორპუსების სისტემის, გამანაწილებელი მოწყობილობების და სხვა აპარატურის ქარხნულად დამზადებული ელემენტები, მთავარი გამანაწილებელი ფარის სრულყოფის მიზნით.

2.3.7.2 მთავარი გამანაწილებელი ფარის კორპუსი უნდა დამზადდეს ელექტრულად მოთუთიებული ფურცლოვანი ფოლადის დაკეცილი და შედუღებული კონსტრუქციისაგან. კორპუსი უნდა წარმოადგენდეს მარტივ და მდგრად კონსტრუქციას, დაპროექტებულს მრავალი სხვადასხვა განზომილებებისათვის, რომლებიც მიიღება ნორმირებული საბაზისო ელემენტების საშუალებით. მთავარი გამანაწილებელი ფარი უნდა შედგებოდეს ერთნაირი სიმაღლისა და სიღრმის რამდენიმე კორპუსისაგან, რომლებიც დამონტაჟებულია ერთმანეთის გვერდიგვერდ და ქმნის ერთგვაროვანი დეტალებისაგან შედგენილ ფარს. გამანაწილებელი ფარის ყოველი სექცია უნდა შედგებოდეს 4 გარკვეული ფუნქციონალური სივრცისაგან: ვერტიკალური და ჰორიზონტალური ასაწყობი სალტეები, გამანაწილებელი მოწყობილობის კომპონენტები, კაბელური მიერთებები და დამხმარე მოწყობილობები.

2.3.7.3 კორპუსის კონსტრუქციის შემადგენლობა დამყარებული უნდა იყოს საყრდენ ჩარჩოზე, რომელიც შედგება განივი კვეთის ელემენტების, ვერტიკალური ელემენტებისა და ერთმანეთზე მიმაგრებული პანელებისაგან ჭანჭიკების და სამაგრების საშუალებით. ძირითადი კონსტრუქცია უნდა დასრულდეს კარადის დამატებით მიერთებებისათვის, რომელიც უნდა განთავსდეს უკანა ან გვერდითა მხარეზე, მისადგომობის მიხედვით. მთლიანი აპარატურა უნდა წარმოადგენდეს მყარ, დამოუკიდებელ კონსტრუქციას, რომელიც დეფორმირებადია და რომელზეც არ ახდენს გავლენას დარტყმები. კონსტრუქცია აღჭურვილი უნდა იყოს ლითონის ტიხრით, რომელიც დამზადებულია ერთი ან მეტი ნაწილისაგან ორ სექციას შორის, კარადის სიღრმის შესაბამისად. კონსტრუქციის ქვედა ნაწილი უნდა დაიხუროს

ჭანჭიკებიანი ფილების საშუალებით, რომელთა მოხსნაც შესაძლებელი იქნება საკაბელო ჩობალის აწყობის საჭიროების შემთხვევაში. ყოველი კარის პანელი უნდა აღიჭურვოს ინტეგრალური გასაღებიანი საკეტით, ხოლო გასაღები ყველა ასეთი საკეტისათვის უნდა იყოს ერთნაირი. ყველა კარის ანჯამა უნდა იყოს ფარული ტიპის და კარის პანელის მოხსნა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს. ყველა კარი, ტიხრები, სამონტაჟო ფილები და ლითონის საფარები ეფექტურად უნდა მიერთდეს მიწაზე/დამიწდეს. დრეკადი დამიწების სადენების გამოყენება საჭიროა მოსახსნელი სახურავებისა და ანაჯმებიანი კარებისათვის.

2.3.7.4 კონსტრუქცია და ტიხრები დაცული უნდა იყოს გამძლე, გაკაწვრისაგან დამცავი ტექსტურის მოსაპირკეთებელი საღებავით, დამტკიცებული ფერის მაღალ ტემპერატურაზე პოლიმერიზებული ეპოქსიდის ფხვნილით.

2.3.7.5 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მთავარი გამანაწილებელი ფარს უნდა ჰქონდეს შეღწევისაგან დაცვის კლასი IP30 მინიმუმ IES სტანდარტების თანახმად.

2.3.7.6 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მთავარი გამანაწილებელი ფარები უნდა დაპროექტდეს წინიდან და უკნიდან მისადგომად.

2.3.7.7 კორპუსების სისტემა ეფექტურად უნდა იშორებდეს მთავარი წრედების მიერ გამოყოფილ სიცხეს, და უნდა აერთიანებდეს მაღალი წარმადობის ბუნებრივი ვენტილაციის სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს კომპონენტების რეალურ სიმძლავრეებზე დამყარებული შიდა ტემპერატურის დარეგულირებას.

2.3.7.8 ასაწყობი სალტეები, ფუნქციური ელემენტები და საკაბელებო დაბოლოებების ერთმანეთისაგან იზოლაცია უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- ასაწყობი სალტეები უნდა განცალკევდეს ფუნქციური ერთეულებისაგან;
- ფუნქციური ერთეულები / გადართვის მოწყობილობები უნდა განცალკევდეს ერთმანეთისაგან;
- კაბელების დაბოლოებები და ფუნქციური ერთეულები/გადართვის მოწყობილობები უნდა განცალკევდეს ერთმანეთისაგან;
- შემომავალი და გამომავალი კლემები უნდა განცალკევდეს ერთმანეთისაგან.

2.3.7.9 ასაწყობი სალტეები უნდა განთავსდეს ცალკე კამერაში ან ვიწრო გასასვლელში ლითონის საფარით და ტიხრებით, რათა თავიდან იქნას აცილებული შემთხვევითი გარეგნული კონტაქტები.

2.3.7.10 შემომავალი გადართვის მოწყობილობა უნდა განთავსდეს ცალკე სექციაში, ხოლო გამომავალი გადართვის მოწყობილობები სხვა სექციებში, სადაც გამოიყენება.

2.3.7.11 სეგრეგაცია უნდა განხორდიელდეს გადასართავი მოწყობილობის კლემებსა და გამანაწილებელ მოწყობილობას შორის საკუთარი კარადის შიგნით, მყარი ზღუდეებისა და ტიხრების საშუალებით.

2.3.7.12 საკაბელო გასასვლელი უნდა განთავსდეს ყოველი სექციის უკანა ან გვერდით მხარეზე ობიექტის პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რათა ხელი შეუწყოს გადართვის მოწყობილობის კაბელების აღჭურვას ჩობალებით. საკაბელო დაბოლოებების კარადა აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი საფარისაგან კაბელების

კარადაში შესვლის ადგილში. საჭიროა საყრდენების უზრუნველყოფა კვებისა და მართვის კაბელების მისამაგრებლად საკაბელო შახტის შიგნით.

2.3.8 საჰაერო ავტომატური ამომრთველები

2.3.8.1 საჰაერო ავტომატური ამომრთველები უნდა აკმაყოფილებდნენ უახლეს საერთაშორისო სტანდარტებს IEC 60947-2. საჰაერო ავტომატური ამომრთველები უნდა იყოს ფიქსირებული ტიპის, და უძლებდეს ნომინალურ დენს პანელის შიდა ტემპერატურის 50°C-მდე. მომწოდებელმა წარდგენილ დოკუმენტაციაში უნდა წარადგინოს მწარმოებლის მოწოდებული ცხრილი ნომინალური მნიშვნელობების შემცირებაზე.

2.3.8.2 ავტომატურ ამომრთველებს უნდა ჰქონდეთ ელექტრული ბლოკირების მახასიათებლები.

2.3.8.3 ბლოკირების მექანიზმი უნდა წარმოადგენდეს დამუხტვის მექანიზმს. მისი მდგომარეობის ნახვა შესაძლებელი უნდა იყოს ზამბარის დამუხტულ ან განმუხტულ მდგომარეობაში ყოფნისას.

2.3.8.4 საჰაერო ავტომატურ ამომრთველს უნდა ჰქონდეს გასაღებად მზადყოფნის ინდიკატორი. ვიზუალური ინდიკატორი ACB-ის წინ უნდა აღნიშნავდეს, რომ ACB მზადაა დასახურად, საჭირო პირობების შესრულების შემდეგ.

2.3.8.5 დამცავი ამომრთველი უნდა იყოს მიკროპროცესორზე დამყარებული ამომრთველი. დამცავ ამომრთველს უნდა ჰქონდეს დაკალიბრებული მცველი, რათა შესაძლებელი იყოს ავტომატური ამომრთველის უფრო დაბალი ნომინალური დენისათვის გამოყენება, ობიექტზე არსებული პირობების შესაბამისად. საჰაერო ავტომატურ ამომრთველს უნდა ჰქონდეს რეგულირებადი მოკლე ჩართვის და მიწასთან შერთვის პარამეტრების დროის დაყოვნებით დაცვისთვის. ხანგრძლივი (LT) დაცვა რეგულირებადი დენის პარამეტრებით და დროის დაყოვნებით. ხანმოკლე (ST) დაცვა რეგულირებადი შეზიდვის დროის დაყოვნებით. უცაბედი (INST) დაცვა რეგულირებადი შეზიდვით და OFF პოზიციით.

2.3.8.6 მუშა/ამძრავი მექანიზმი უნდა იყოს გამორთვა/ჩართვა/გამორთვა სარეზერვო ენერგიის ტიპის. მთავარი კონტაქტები უნდა დაპროექტდეს ისე, რომ ნორმალურ პირობებში ექსპლუატაციისას არ საჭიროებდეს ტექსერვისს. ავტომატური ამომრთველები აღჭურვილი უნდა იყოს ცვეთის ინდიკატორებით.

2.3.9 სხმული კორპუსის მქონე ავტომატური ამომრთველები

2.3.9.1 MCCB უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს IEC 60947-2.

2.3.9.2 MCCB უნდა იყოს ქსელის/დატვირთვის ურთიერთჩანაცვლებადი. MCCB უნდა იყოს რეგულირებადი გადაჭარბებული დატვირთვის პარამეტრების, მოკლე ჩართვის პარამეტრებისა და დისკრიმინაციისათვის. რეგულირებადი მართვის ღილაკთან მიდგომა შესაძლებელი უნდა იყოს MCCB-ის წინა მხრიდან. MCCB-ების გამოყენება, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული გადატვირთვის გამთიშველი, დაუშვებელია.

2.3.9.3 MCCB-ები 400A-მდე დასაშვებია თერმულ-მაგნიტური გამთიშველით თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. MCCB-ები 630A-ის ზემოთ უნდა იყოს მიკროპროცესორზე დაფუძნებული გამთიშველით. MCCB-ები თერმულ-მაგნიტური გამთიშველით უნდა იყოს რეგურილებადი გადატვირთვის დიაპაზონის 80-100%. მიკროპროცესორზე დაფუძნებული გამთიშველით რეგულირებადი დიაპაზონი უნდა შეადგენდეს 40-100%-ს. შემოთავაზებული MCCB-ები აღჭურვილი უნდა იყოს თავისუფალი ამორთვის მექანიზმით.

2.3.9.4 სხმული კორპუსიანი ავტომატური ამომრთველები უნდა დაპროექტდეს როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური დამონტაჟებით, ყოველგვარი მავნე ზეგავლენის მოხდენის გარეშე ელექტრულ მახასიათებლებზე. მაქსიმალური უსაფრთხოებისათვის, ძალური კონტაქტები უნდა იქნას იზოლირებული თერმორეაქტიული მასალისაგან დამზადებულ გარსაცმში სხვა ფუნქციებისაგან, როგორიცაა ამძრავი/მუშა მექანიზმი, კორპუსი, ამომრთველი მოწყობილობა და დამხმარე მოწყობილობები.

2.3.9.5 სხმული კორპუსის მქონე ავტომატური ამომრთველების ამძრავი მექანიზმი უნდა იყოს სწრაფი შერთვის, სწრაფი განრთვის ტიპის, დაზიანებისას ამორთვის ხელით კორექტირების ფუნქციით. ყველა პოლუსი უნდა მუშაობდეს ერთდროულად, ავტომატური ამომრთველის შერთვის, განრთვისა და ამორთვისათვის.

2.3.10 მინიატურული ავტომატური ამომრთველები

2.3.10.1 მინიატურული ავტომატური ამომრთველები უნდა აკმაყოფილებდეს უახლეს საერთაშორისო სტანდარტებს IEC 60898. MCB-ები უნდა იყოს გათვლილი 240V AC ნომინალურ ძაბვაზე ერთპოლუსიანი და 415V AC მრავალპოლუსიანი. MCB-ებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 20000 ოპერაციის ON/OFF ციკლი. MCB-ები უნდა შეესაბამებოდეს DIN სტანდარტებს.

2.4 მრიცხველების გამანაწილებელი ფარები

2.4.1 გამანაწილებელ ფარებს უნდა ჰქონდეთ ანჯამიანი კარები, რომლებიც უნდა გაიღოს 180 გრადუსამდე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

3 კაბელსატარები და საკაბელო სისტემები

3.1 სამუშაოთა მოცულობა

3.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს საკაბელო სისტემების დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, მარკირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

3.1.2 მუშა ნახაზები და მონაცემები, რეალური სამონტაჟო დეტალები, დაკიდების სისტემის დეტალები, წარმოდგენილი უნდა იყოს მწარმოებლის ან მწარმოებლის უფლება მოსილი პირის მიერ.

3.1.3 მასალათა რაოდენობაში მოცემულია კაბელსატარების სიგრძე. ყველა დამხმარე მასალა, სამაგრები, საკიდები და სხვა უნდა დააკომპლექტოს კონტრაქტორმა კონკრეტული მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად.

3.2 ხარისხის გარანტია

3.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

3.2.2 საკაბელო ხონჩების სისტემა დამზადებული უნდა იყოს ერთი მწარმოებლის მიერ და უნდა მოიცავდეს ქარხნული წარმოების ხონჩებს, ხონჩის სამაგრებს, მიერთებებს. სისტემა აღჭურვილი იქნება სხვადასხვა სამარჯვებითა და საყრდენებით, სრულყოფილი ხონჩის საყრდენების სისტემის ფორმირებისათვის.

3.2.3 საკაბელო ხონჩების სისტემა უნდა მოიცავდეს ქარხნული დამზადების შემდეგ დეტალებს: სწორ და კიბისებრ ხონჩებს, სხვადასხვა კუთხოვანი კვეთის სამარჯვებს, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნაღუნებს, სამაგრებს, კონექტორებს, შემაერთებელ პანელებს და ყველა საჭირო მიმაგრების დეტალებს, საყრდენების ჩათვლით.

3.3 სისტემის აღწერილობა

3.3.1 საკაბელო ხონჩები უნდა დამონტაჟდეს გამანაწილებელი კაბელების, საინფორმაციო/მონაცემთა გადამცემი კაბელებისა და ყველა ელექტროკაბელების გასამყარებლად, რომლებიც ჩვეულებრივ არ არის დამონტაჟებული არხებში ან მილებში.

3.3.2 საკაბელო ხონჩა უნდა დამონტაჟდეს ისეთი მეთოდით, რომ ადვილი იყოს მასთან მიდგომა კაბელების დამონტაჟების მიზნით.

3.3.3 კიბისებრი საკაბელო ხონჩები უნდა დამონტაჟდეს ვერტიკალურ ღიობებში მთელს სიგრძეზე. ასევე მთავარი ფარის ოთახში, ფარების თავზე რათა გაადვილდეს კაბელების ჩასვლა ფარებში.

3.4 პროდუქცია

3.4.1 საკაბელო ხონჩები უნდა დამზადდეს მინიმუმ 1.0 მმ სისქის რბილი ფოლადისაგან. სიმაღლე უნდა იყოს 60მმ. ხონჩები, რომლებიც აჭარბებს 300მმ სიგანეს, უნდა იყოს მინიმუმ 1.5მმ სისქის.

3.4.2 ჩასასმელი ელემენტები, ბოლტები, ხრახნები, შტიფტები, და ა. შ. უნდა იყოს რბილი ფოლადის კადმიუმის შრით დაფარული/ცხლად მოთუთიებული.

3.4.3 საკაბელო ხონჩებს უნდა ჰქონდეთ ოვალური პერფორაცია. კიბისმაგვარი ხონჩების გამოყენება უნდა მოხდეს ინჟინრის მიერ მოთხოვნის და/ან დამტკიცების შედეგად.

3.4.4 ხონჩის კომპონენტები ფრთხილად უნდა იყოს დაგრაგნილი ან ფორმირებული უმნიშვნელო დასაშვები გადახრით და ყველა კიდე უნდა მომრგვალდეს. მილტუჩებს უნდა ჰქონდეთ მთლიანად მრგვალი გლუვი კიდეები.

3.5 შესრულება

3.5.1 ხონჩები უნდა იყოს ადეკვატურად გამყარებული, რათა თავიდან აიცილოთ 2 %. ზე მეტი ჩაკიდება ფიქსირებულ წერტილებს შორის.

3.5.1.1 იქ, სადაც საკაბელო ხონჩა გამიზნულია რიგელების მთელი რიგის გადასაკვეთად, ხონჩა გამყარებული უნდა იყოს ყოველი რიგელიდან, რომელსაც ის გადაკვეთს, რიგელის ქვედა ზედაპირის ქვემოდან შეკიდული ლითონის საყრდენებით მანძილი ხონჩასა და რიგელის ქვედა ზედაპირს შორის უნდა იყოს არაუმეტეს სამჯერ დიდი ყველაზე დიდი კაბელის დიამეტერზე, რომელიც უნდა განთავსდეს ხონჩაზე.

3.5.1.2 საკაბელო ხონჩის საფარები საჭიროა მხოლოდ სახურავებზე ან შენობებს გარეთ, სადაც კაბელები დამონტაჟებულია კლიმატური პირობების ზემოქმედების ქვეშ.

3.5.2 საკაბელო ხონჩების სისტემები უნდა მიერთდეს მთავარი შენობის დამიწების სისტემასთან, ინჟინრის მოთხოვნებისა და ინსტრუქციების თანახმად.

3.5.3 კაბელსატარები სახურავზე

3.5.3.1 სახურავზე დანადგარებამდე კაბელსატარები განთავსებულია იატაკზე დადებული ბეტონის ბლოკებზე (სიმაღლე 250მმ).

3.5.3.2 ბეტონის ბლოკები უნდა დაიდოს დასრულებულ გადახურვაზე (პოლიურეთანის გიდრო საიზოლაციო შრე). გადახურვასა და ბეტონის ბლოკებს შორის უნდა დაიდოს PVC (ან სხვა შესაბამისი) ქეჩა და ამ ქეჩაზე განთავსდეს ბლოკი.

3.5.3.3 ბლოკებს შორის და კაბელსატარებს ქვემოთ თავისუფლად უნდა იდინოს წვიმის დროს დაღვრილმა წყალმა. შესაბამისად დაუშვებელია ბლოკებს შორის რაიმე სახის დამხმარე თუ სხვა მიზნებისთვის საჭირო კონსტრუქციის დამატება.







4 მავთულები და კაბელები

4.1 სამუშაოთა მოცულობა

4.1.1 მოცემული ნაწილი ითვალისწინებს დამზადებას, ქარხნულ ტესტირებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, ობიექტზე მოწოდებას, შენახვას, მონტაჟს, სამაგრებს, მარკირებას, ექსპლუატაციაში გაშვებას და გადაცემას დამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო პირობებში, შენობის შიგნით და გარეთ გამოყენების მიზნით.

4.2 ხარისხის გარანტია

4.2.1 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც სისტემატურად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

4.3 აღწერილობა

4.3.1 XLPE/SWA/LSOH გათვლილი კაბელები: მაგისტრალური და ქვემაგისტრალური განაწილება, გათბობის, ვენტილაციის, ლიფტების, სამზარეულოს, მართვის ფარების, ელექტროქსელებისა და ა. შ. მომარაგების ჩათვლით.

4.3.2 ყველა მრავალფაზიანი კაბელი უნდა იყოს 600/1000 ვ. იზოლაციის კლასით.

4.3.3 ყველა კაბელი ორივე ბოლოში აღჭურვილი უნდა იყოს კაბელების აღმნიშვნელი ეტიკეტებით წრედების/ქსელების იდენტიფიკაციისათვის.

4.4 კაბელების დაცვა

4.4.1.1 პლასტმასის საკაბელო მილი, უნდა დამონტაჟდეს ყველა აგურის, ბეტონის ან მსგავს კონსტრუქციაში გამავალი კაბელებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევა შემდგომ მომსახურებას კონსტრუქციის დაზიანების გარეშე. მილები დამზადებული უნდა იყოს ჰალოგენის არ შემცველი მასალით.

4.4.1.2 ყველა მონაცემთა გადამცემი ან სატელეფონო კაბელი, რომელიც დამონტაჟებულია ხონჭებში მოპირკეთებული იატაკის დონიდან 2 მეტრის სიმაღლემდე, დაცული უნდა იყოს. დაცვის საშუალებები უნდა იყოს მწარმოებლის მიერ მოწოდებული მოთუთიებული ფოლადის საფარები, მინიმალური სისქით 1.5მმ. იგივე ეხება კვების კაბელებსაც.

5 ფურნიტურა

5.1 როზეტები:

5.1.1.1 ყველა შტეფსელის როზეტი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტს. ტიპი F (CEE 7/4 Schuko)

5.1.1.2 შტეფსელის როზეტის დაბოლოებებს უნდა ჰქონდეთ სათანადო ზომა რათა მიიღონ ორი ცალი 2.5მმ²-იანი სადენი.

5.1.2 როზეტები რომლებიც განთავსებულია შენობის გარეთ ან ტექნიკურ სათავსებში, შესრულებული უნდა იყოს IP65 დაცვის კლასით.

5.2 ჩამრთველები, გადამრთველები, რეგულატორები

5.2.1 დაამონტაჟეთ განათების ჩამრთველები, გადამრთველები, რეგულატორები მწარმოებლის რეკომენდაციების თანახმად.

5.2.1.1 გადამრთველების/რეგულატორების დაჯგუფება პროექტის შესაბამისად.

5.3 ქუროები

5.3.1 სადაც საკაბელო მილები, საკაბელო არხები და სადენები გადიან კონსტრუქციულ გარე კედლებში, უზრუნველყავით ქუროები.

5.3.2 ქუროები გარე კედლებში აღჭურვილი უნდა იყოს: წინასწარ დამზადებული მამჭიდროებელი რგოლებით, შესაბამისი ზომის საიზოლაციო მილისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია/მისადგომია შემდგომი შემჭიდროებისათვის.

5.3.3 ქუროები სახურავებში უნდა იყოს ფურცლოვანი ლითონის მოპირკეთების, დაქანებული მილტუჩებით გადახურვის მასალის ორ შრეს შორის და საკაბელო მილზე ცალკეულ წყალმედეგ დაფარვის ჰიდროიზოლაციას შორის.

5.4 სტანდარტული აღნიშვნა

5.4.1 ელექტრული გამანაწილებელი მოწყობილობის ყოველი ერთეულისათვის ყოველი მოწოდების ელექტრული წყაროდან მართვის ფარებამდე და ძრავების სისტემების და მათი ჩათვლით, სპეციალური მართვის პანელებისა და კარადებისათვის, და მოწყობილობის ნებისმიერი სხვა ნაწილისათვის, უზრუნველყავით ამოტვიფრული საიდენტიფიკაციო საფირმო მარკები. საფირმო მარკები ჩვეულებრივ უნდა იყოს შავ-თეთრი, გამაფრთხილებელი ნიშნები უნდა დაიწეროს წითელ ფონზე თეთრი ასოებით.

6 დამიწება მეხამრიდის სისტემა

6.1 სამუშაოთა მოცულობა.

6.1.1 აღნიშნული ნაწილი მოიცავს დამიწების დასრულებულ სისტემას მისი შემადგენელი ყველა კომპონენტით, მუშა ნახაზებით, მასალის მოწოდებით, მონტაჟით, ტესტირებით.

6.1.2 სისტემა დაპროექტებულია საქართველოში მოქმედი ქვემოთ აღნიშნულ სტანდარტების შესაბამისად:

- РД 34.21.122-87
- СО 153-34.21.122-2003
- ПУЭ

6.2 ხარისხის გარანტია

6.2.1 მისაღები მწარმოებლები:

6.2.2 საკონტრაქტო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობით, მისაღებ მწარმოებლებს უნდა წარმოადგენდნენ ის კომპანიები, რომლებიც რეგულარულად ჩართულნი არიან მოცემულ ნაწილში ჩამოთვლილი ყველა ტიპისა და ზომის მასალების წარმოებაში, და რომელთა პროდუქციაც წარმატებით გამოიყენება მსგავს საექსპლუატაციო პირობებში არანაკლებ ათი წლის განმავლობაში.

6.3 სამუშაოს აღწერილობა

6.3.1 ქსელის დაბალი ძაბვის გადართვის ოთახში, კედელზე გამანაწილებელი ფარების უკან, დაამონტაჟეთ დამიწების მთავარი სპილენძის სალტე. სპილენძის სალტე უნდა მიერთდეს გარე დამიწების სისტემასთან.

6.3.2 დამიწების მთავარი სპილენძის სალტეზე, სპილენძის კაბელებით მიერთებულია ახლომდებარე ყველა ფარი თუ დანადგარი რომელიც საჭიროებს დამიწებას.

6.3.3 სასართულე დამიწების სალტეები დაერთებულია დამიწების მთავარი სპილენძის სალტეზე სპილენძის კაბელებით.

6.3.4 კაბელსატარები

6.3.4.1 ყველა კაბელსატარი დამიწებული უნდა იყოს სპილენძის მრავალძარღვიანი ყვითელ-მწვანე კაბელით თუ კაბელსატარების მწარმოებელი არ იძლევა გარანტიას კაბელსატარების გადასაბმელების ამ ფუნქციით გამოყენებისთვის.

6.3.4.2 კაბელსატარები მიერთებული უნდა იყოს დამიწების მთავარ სისტემასთან.

6.3.5 დანადგარების კორპუსები.

6.3.5.1 მიაერთეთ ყველა დანადგარის კორპუსი დამიწების წრედთან. გაასუფთავეთ ყველა ზედაპირი მიერთებამდე და უზრუნველყავით ყველა დამატებითი მიერთება, რომელიც საჭიროა დამიწებისათვის. მოაცილეთ საღებავი კორპუსებს, ელემენტების ერთმანეთთან მიერთებამდე.

6.3.5.2 ქსელები 230 ვოლტიანი სანათებისათვის, კვების ფიდერებისათვის უზრუნველყავით ფაზური სადენების ზომის იზოლირებული დამიწების სადენი ყველა კაბელში. მიაერთეთ დამიწების სადენი ყველა კოლოფსა და სანათთან, შესაბამისი დაბოლოებებისა და ქუროების გამოყენებით.

6.3.6 ნეიტრალური სადენები

6.3.6.1 ნეიტრალური სადენები უნდა იყოს სრულად იზოლირებული მთელს სიგრძეზე და ყველა დაბოლოების წერტილში. ნეიტრალები თითოეული სისტემისათვის უნდა დამიწდეს მხოლოდ ერთ წერტილში.

6.3.6.2 ყველა ლითონის ნაწილი უნდა მიერთდეს დამიწების სისტემასთან, მაგ. ჰაერის კონდიცირების არხები, წყლის მილები, მოწყობილობები, და ა.შ.

7 განათების სისტემა

7.1.1 ზოგადი ინფორმაცია

7.1.1.1 ყველა სანათი უნდა გამოიყენებოდეს მყარ და დრეკად წრიულ დაეკრანებულ კაბელთან მისაერთებლად.

7.1.1.2 ყველა კლიმატმედეგი სანათი უნდა იყოს სრულად შესაფერისი შენობის გარეთ და სველ ადგილებში გამოსაყენებლად, და არ უნდა დეგრადირდეს მოხმარების შემდეგ ობიექტის გარემომცველ პირობებში.

7.1.1.3 ყველა სანათის დიზაინი შეთანხმდეს არქიტექტორთან და ინტერიერის დიზაინერთან.

7.1.2 ავარიული განათება

7.1.3 ავარიულ სანათებად გამოყენებულია მუშა განათების ნაწილი. სტანდარტული სანათები, გარდაქმნილი ავარიულებად, მიერთებულია უწყვედი დენის წყაროს ქსელთან.

7.2 სანათები

სანათების ვიზუალური მხარე შეთანხმდეს დამკვეთთან.

7.2.1 სანათი A15 და A15 აკუმულატორით.



- შენობის შიგნით.
- გარე (კაბელარხზე) მონტაჟის.
- LED სანათი.
- 36 ვატის სიმძლავრის.

7.2.2 სანათი A18 და A18 აკუმულატორით.



- შენობის შიგნით.
- გარე მონტაჟის.
- IP65 შესრულებით.
- LED სანათი.
- 36 ვატის სიმძლავრის.

7.2.3 სანათი B1 და B1 აკუმულატორით, ინტეგრირებული მოძრაობის სენსორით



- შენობის შიგნით.
- გარე მონტაჟის.
- IP65 შესრულებით.
- LED სანათი.
- 20 ვატის სიმძლავრის.

8 სუსტი დენები

8.1 CCTV

8.1.1 სისტემის აღწერილობა.

8.1.1.1 საპროექტო სამუშაოებში გამოყენებულია IP პროტოკოლზე მორგებული აპარატურა.

8.1.1.2 ყველა სახის ვიდეო მეთვალყურეობის კამერა არის PoE ტექნოლოგიის და არ საჭიროებს დამატებით კვების წყაროს.

8.1.1.3 კამერების ხედვის კუთხე გეგმებზე არის მიახლოებითი. დაზუსტება უნდა მოხდეს ინსტალაციის დროს დამკვეთის დაცვის სამსახურთან შეთანხმებით.

8.1.1.4 მეთვალყურეობა ხორციელდება ავტოსადგომებზე, ყველა შესასვლელ-გასასვლელებზე.

8.1.1.5 ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნისას გამოყენებული უნდა იქნას კომპონენტები, რომლებიც დააკმაყოფილებს 5 კატეგორიის მოთხოვნებს ISO/IEC 11801 სტანდარტის თანახმად.

8.1.1.6 კაბელები, პაჩ-კორდები და შემაერთებლები (როზეტები, პაჩ-პანელები და სხვ.) უნდა აკმაყოფილებდეს ISO/IEC 11801 ან EN50173 ან IEC603.7 სტანდარტის მოთხოვნებს.

8.1.1.7 კაბელირება ხდება Cat 5e F/UTP AVG24 100%Cu ტიპის კაბელით.

8.1.1.8 ყოველი კამერის დაკაბელება ხდება ინდივიდუალური კაბელით. დაუშვებელია განხორციელდეს კაბელის წვერების განშტოება და გამოყენება სხვა ნებისმიერი დანიშნულებისამებრ. ასევე დაუშვებელია კაბელის გადაბმა, დაგრძელების ან სხვა რაიმე მიზნით.

8.2 სახანძრო მაუწყებლობა

8.2.1 ობიექტისთვის შერჩეულია ანალოგურ-მისამართული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, რათა დროულად მოხდეს ხანძრის კერის ლოკაციის დადგენა და მოხდეს დაუყოვნებელი რეაგირება.

8.2.2 სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა არის მიკროპროცესორის ანალოგით მიდგომადი, კვამლის კონტროლითა და ხმოვანი ევაკუაციის კონტროლით, ყოველივე ინტეგრირებული და მიერთებული უნდა იყოს ცენტრალურ მონიტორინგისა და მართვის საშუალებებთან, როგორც აღწერილია სპეციფიკაციაში და ნაჩვენებია ნახაზებზე.

8.2.3 უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საკონტროლო შლეიფების გამართული მდგომარეობა. უნდა იყოს აღმოფხვრილი ყველანაირი შეცდომა: წყვეტა, მოკლე ჩართვა, გაჟონვა მიწაზე და ა.შ.

8.2.4 უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო მუშახელი, მოწყობილობები, კორპუსები, ელექტრო მოწყობილობები, სამარჯვები, კაბელები, სამონტაჟო კოლოფები, სამონტაჟო მასალები, და ინსტრუმენტები, როგორც მითითებულია აღნიშნულ სპეციფიკაციებში და ნაჩვენებია ნახაზებზე.

8.2.5 სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ აღნიშნულ სტანდარტებს:

- NFPA 70, "ეროვნული ელექტრული ნორმები/ელექტროდანადგარების დამონტაჟების ნორმები"
- NFPA 72, "ეროვნული სახანძრო განგაშის ნორმები"
- NFPA 101, "უსაფრთხოების კოდექსი"

8.2.6 კვამლის დეტექტორის, მექანიკური გამოძახების ღილაკის ან მოდინების სარქველის ამუშავება შენობაში გამოიწვევს შემდეგს:

8.2.6.1 ავარიული შეტყობინება.

8.2.6.2 ავარიული სიგნალების რეგისტრაცია, სიგნალის თარიღითა და დროის აღნიშვნით, სისტემის მეხსიერებაში.

8.2.6.3 ვიზუალური და ხმოვანი სიგნალის ინიცირება სახანძრო სიგნალიზაციისა და მართვის პანელებზე. წითელი LED ნათურა, რომელიც წარმოადგენს ზონას სიგნალიზაციაში, უნდა აინთოს. სიგნალის შეტყობინების შემდეგ, LED ნათურა უნდა იყოს ჩართულ მდგომარეობაში, სიგნალის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრამდე და სისტემის საწყის მდგომარეობაში დაბრუნებამდე.

8.2.6.4 აკუსტიკური ზონდების აქტივაცია.

8.2.6.5 ევაკუაციის სიგნალი ინციდენტის და მოსაზღვრე ზონებში.

8.3 საევაკუაციო მაუწყებლობა

8.3.1 ობიექტის ხმოვანმა სამაუწყებლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს და გაანაწილოს საზოგადოებისადმი მიმართვის შეტყობინებები ჭერზე და კედელზე დამონტაჟებული სპიკერების საშუალებით მთელ პერიმეტრზე.

8.3.2 შენობის მთლიანი პერიმეტრი დაყოფილია გახმოვანების საევაკუაციო ზონებად. ყოველი სართული და ცალკეული სივრცე არის თითო ზონა რაც შესაძლებელს ხდის ყოველ სართულზე თუ ცალკეულ სეგმენტში ინდივიდუალურად გაიგზავნოს ხმოვანი შეტყობინება.

8.3.3 სამაუწყებლო სისტემის პროექტი ითვალისწინებს ნებისმიერ სახანძრო ან სხვა საგანგებო სიტუაციის დროს, ხალხთა მასების სწორად მართვის სცენარს.

8.3.4 ავარიული სიტუაციებისას, ავტომატურ რეჟიმში სახანძრო პანელიდან სიგნალის მოსვლის შემდეგ, დაკავებული გამანაწილებელი არხები ავტომატურად უნდა ჩანაცვლდეს წინასწარ ჩაწერილი საგანგებო ტექსტით, რათა გადასცეს საჭირო საგანგებო შეტყობინება.

8.3.5 დაკაბელება სართულების მიხედვით ხდება ჰორიზონტალური საკაბელო არხების საშუალებით საკომუნიკაციო შახტებამდე. ვერტიკალური შახტის მეშვეობით კაბელირება გრძელდება შესაბამის სართულის შეკიდულ ჭერში მდებარე საკაბელო არხზე.

8.3.6 ყოველი სპიკერის დაერთება ხდება „პარალელურად“ შესაბამისი სიმძლავრისა და სიგნალის ტიპის (100V-70V) მიხედვით.

8.3.7 ყველა სახის გადაბმა უნდა მოხდეს სახანძრო დამცავი ხუფის შიგნით! დაუშვებელია გადაბმის ადგილი დარჩეს დამუშავების გარეშე. უნდა მოხდეს სრული და ხარისხიანი საიზოლაციო მასალის გამოყენება.

8.3.8 კაბელის დაბოლოებაზე, ასევე ყველა განშტოებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დგება ხაზის საკონტროლო რეზისტორი (EOL) რომელიც ამოწმებს ხაზს წყვეტაზე და მოკლე ჩართვაზე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გამაძლიერებელ მოწყობილობაზე ინთება შესაბამისი ზონის ინდიკაცია.

8.4 ინტერნეტი

8.4.1 სისტემის აღწერილობა

8.4.1.1 ინტერნეტ კავშირი თითოეულ ბინაში ხორციელდება პროვაიდერის მიერ.

8.4.1.2 პროექტით გათვალისწინებულია საკაბელო ტრასები.

ძალოვანი ფარების სტრუქტურული გეგმა



LEGEND:
ექსპლიკაცია:

- ტრანსფორმატორი
  Transformer
- გენერატორი
  Generator
- ავტომატური გამთიშველი
  Circuit Breaker
- ჩამრთველი
  Switch
- ATS — რეზერვის ავტომატური ჩამრთველი
- მრიცხველი
- FSS — სახანძრო უსაფრთხოების სისტემები. ხანძრის დროს კვება არ ეთიშებათ

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revision
რევიზია

F
E
D
C
B
A 14/11/2025

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
არქი ახმეტელი
ოფისები

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო

LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia

Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შეასრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
დასახელება:

Power Distribution Boards Structural Plan

ძალოვანი ფარების სტრუქტურული გეგმა

Status

STAGE სტადია	E		
DATE თარიღი	14/11/2025	***SHEET*** ფურცელი	01
SCALE მასშტაბი	X:XX	***SHEETS*** ფურცლები	01
PAGE FORMAT ფორმატი	A0		

FILE NAME ფაილის სახელი: MG-2428-EL-010

REVISION რევიზია: A

თბილისი 2025



LEGEND:
ამბავსისტემა:

- სახანძრო დეტექტორი
- სახანძრო სირენა
- სახანძრო დეტექტორი ბაზარი
- სახანძრო დეტექტორი კიბემლის
- I/O მოდული
- CO დეტექტორი
- სახანძრო მაუწყებლობის პანელი
- CO პანელი

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revizion
რევიზია

F		
E		
D		
C		
B		
A	14/11/2025	

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
ვრცე ახმეტელი

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო
LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia
Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შემსრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
ნახატის სახელი:

Fire Alarm System Structural Plan

სახანძრო დაცვა/დაშვების სისტემის
სტრუქტურული ბლოკ

Status

STAGE სტადია: E

DATE თარიღი	14/11/2025	SHEET შემსრულა	01
SCALE მასშტაბი	X:XX	SHEETS შემსრულა	01
PAGE FORMAT შეთანხმა	A1		

FILE NAME
ნახატის სახელი: MG-2428-EL-015

REVISION
რევიზია: A

თარიღი 2025



LEGEND:

Speaker Surface Mounted 10w

Cable 2X1,5 mm2 LIHCH FE 180/E90

Communication Rack

GENERAL NOTES:

Revizion

A	14/11/2025

Project Name:

ქ. თბილისი

არჯი ახმეტელი

Customer:

Executed by:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო
LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia

Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION	NAME	SIGNATURE
DIRECTOR	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER	G. Bokeria	
DRAWN BY	N. Tsiklauri	
CHEKED BY	G. Bokeria	

DRAWING NAME:

Evacuation Alarm System Structural Plan

Status

STAGE E

DATE	14/11/2025	SHEET	01
SCALE	X:XX	SHEETS	01
PAGE FORMAT	A1		

FILE NAME

MG-2428-EL-017

REVISION A

© 2025

-2 სართული ბ ბლოკი



LEGEND:
ექსპლიკაცია:

- კაბელსატარი 100მმ
- კაბელსატარი 200მმ
- კაბელსატარი 400მმ
- კაბელსატარი 600მმ
- კაბელსატარი IT 100მმ
- კაბელსატარი IT 300მმ
- კაბელსატარი IT 400მმ
- კაბელსატარი IT 600მმ
- ვერტიკალური კაბელსატარი
- გამანაწილებელი ფარი
- გამანაწილებელი ფარი
- საკომუნიკაციო რეკი
- საკომუნიკაციო შახტა
- სახანძრო მაუწყებლობის პანელი
- CO პანელი

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revizion
რევიზია

F	
E	
D	
C	
B	
A	14/11/2025

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
არქი ახმეტელი
ოფისები

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო
LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia
Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შეასრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
დასახელება:

Boards & Communication System at -2 Level

ფარებისა და კომუნიკაციების -2 სართულზე

Status

STAGE სტადია	E		
DATE თარიღი	14/11/2025	SHEET ფურცელი	01
SCALE მასშტაბი	1:100	SHEETS ფურცლები	06
PAGE FORMAT ფორმატი	A1		

FILE NAME ფაილის სახელი	REVISION რევიზია
MG-2428-EL-100.1	A

თბილისი 2025

-1 სართული ბ ბლოკი



LEGEND:
ექსპლიკაცია:

- კაბელსატარი 100მმ
- კაბელსატარი 200მმ
- კაბელსატარი 400მმ
- კაბელსატარი 600მმ
- კაბელსატარი IT 100მმ
- კაბელსატარი IT 300მმ
- კაბელსატარი IT 400მმ
- კაბელსატარი IT 600მმ
- ვერტიკალური კაბელსატარი
- გამანაწილებელი ფარი
- გამანაწილებელი ფარი
- საკომუნიკაციო რეკი
- საკომუნიკაციო შახტა
- სახანძრო მაუწყებლობის პანელი
- CO პანელი

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revizion
რევიზია

F		
E		
D		
C		
B		
A	14/11/2025	

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
არქი ახმეტელი
ოფისები

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო
LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia
Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შეასრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
დასახელება:

Boards & Communication System at -1 Level

ფარები და კომუნიკაციები -1 სართულზე

Status

STAGE სტადია E

DATE თარიღი	14/11/2025	SHEET ფურცელი	02
SCALE მასშტაბი	1:100	SHEETS ფურცლები	06
PAGE FORMAT ფორმატი	A1		

FILE NAME ფაილის სახელი: MG-2428-EL-100.2

REVISION რევიზია: A

თბილისი 2025

+0.00 სართული ბ ბლოკი



LEGEND:
ექსპლიკაცია:

- კაბელსატარი 100მმ
- კაბელსატარი 200მმ
- კაბელსატარი 400მმ
- კაბელსატარი 600მმ
- კაბელსატარი IT 100მმ
- კაბელსატარი IT 300მმ
- კაბელსატარი IT 400მმ
- კაბელსატარი IT 600მმ
- ვერტიკალური კაბელსატარი
- გამანაწილებელი ფარი
- გამანაწილებელი ფარი
- საკომუნიკაციო რეკი
- საკომუნიკაციო შახტა
- სახანძრო მაუწყებლობის პანელი
- CO პანელი

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revizion
რევიზია

F	
E	
D	
C	
B	
A	14/11/2025

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
არქი ახმეტელი
ოფისები

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო
LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia
Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შეასრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
დასახელება:

Boards & Communication System at 0 Level

ფარები და კომუნიკაციები 0 სართულზე

Status

STAGE სტადია	E		
DATE თარიღი	14/11/2025	SHEET ფურცელი	03
SCALE მასშტაბი	1:100	SHEETS ფურცლები	06
PAGE FORMAT ფორმატი	A1		

FILE NAME ფაილის სახელი	REVISION რევიზია
MG-2428-EL-100.3	A

თბილისი 2025

+1 სართული ბ ბლოკი



LEGEND:
ექსპლიკაცია:

100	კაბელსატარი 100მმ
200	კაბელსატარი 200მმ
400	კაბელსატარი 400მმ
600	კაბელსატარი 600მმ
100	კაბელსატარი IT 100მმ
300	კაბელსატარი IT 300მმ
400	კაბელსატარი IT 400მმ
600	კაბელსატარი IT 600მმ
	ვერტიკალური კაბელსატარი
	გამანაწილებელი ფარი
	გამანაწილებელი ფარი
	საკომუნიკაციო რეკი
	საკომუნიკაციო შახტა
	სახანძრო მაუწყებლობის პანელი
	CO პანელი

GENERAL NOTES:
შენიშვნა:

Revizion
რევიზია

F		
E		
D		
C		
B		
A	14/11/2025	

Project Name:
პროექტის სახელი:

ქ. თბილისი
არქი ახმეტელი
ოფისები

Customer:
დამკვეთი:

Executed by:
შემსრულებელი:

შპს "მონტაჟ ჯორჯია"
პაპაშვილის 19, თბილისი,
საქართველო

LTD "Montage Georgia"
Papashvili 19,
Tbilisi, Georgia
Mob: +995 599 393 397 E-mail: info@montage.ge

POSITION თანამდებობა	NAME სახელი	SIGNATURE ხელმოწერა
DIRECTOR დირექტორი	D. Kakhiani	
CHIEF ENGINEER მთ. ინჟინერი	G. Bokeria	
DRAWN BY შეასრულა	N. Tsiklauri	
CHEKED BY შეამოწმა	G. Bokeria	

DRAWING NAME:
დასახელება:

Boards & Communication System at +1 Level

ფარები და კომუნიკაციები +1 სართულზე

Status

STAGE სტადია: E

DATE თარიღი	14/11/2025	**SHEET** ფურცელი	04
SCALE მასშტაბი	1:100	**SHEETS** ფურცლები	06
PAGE FORMAT ფორმატი	A1		

FILE NAME ფაილის სახელი: MG-2428-EL-100.4

REVISION რევიზია: A

თბილისი 2025

+2 სართული ბ ბლოკი

ტიპიური სართულები +2...+16



LEGEND:
ექსპლიკაცია:

- კაბელსატარი 100მმ
- კაბელსატარი 200მმ
- კაბელსატარი 400მმ
- კაბელსატარი 600მმ
- კაბელსატარი IT 100მმ
- კაბელსატარი IT 300მმ
- კაბელსატარი IT 400მმ
- კაბელსატარი IT 600მმ
- ვერტიკალური კაბელსატარი
